საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№92/62

2013 წელი, 3 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი ცაგარეიშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი ცაგარეიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" , „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე", „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/142, 29.08.2013) საქართველოს კანონის პროექტები განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" , „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე", „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს

კანონის პროექტები პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" , „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე", „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტების განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 3 სექტემბრის №92/2 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური